საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №33

ქ. ბათუმი 11 მაისი, 2017 წ.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №21 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის**'', აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №21 დადგენილებისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის, ასოც. პროფ. მადონა მიქელაძის სამსახურეობრივი ბარათის (MES 8 17 00482403, 08.05.2017) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ბსუ-ს განათლების ფაკულტეტზე, ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში, ინგლისური ენის მიმართულებით ასისტენტ პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **2017 წლის 05 აპრილის** №21 **დადგენილებით** გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **თამარ სირაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ბ) **თამარ კობეშავიძე** - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

გ) **ნინო არაშიძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

2. საკონკურსო კომისიის მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს **2017 წლის 11 მაისიდან 18 მაისის ჩათვლით**.

3. საკონკურსო კომისიამ იხელმძღვანელოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 25 დეკემბრის №3 გადაწყვეტილებითა, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და საპროცედურო კომისიის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს **2017 წლის 05 აპრილის** №21 დადგენილებითა და წინამდებარე დადგენილებით.

4. დადგენილება დაეგზავნოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და კომისიის წევრებს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**